პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 მაისი, შაბათი, 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი

№ 108 (14104)

## ვალდებულება განაღდეს

[illegible] თბილისელმა ფეიქრებმა, რომლებიც 24 დასახელების აბრეშუმის ქსოვილს უგზავნიან მომხმარებელს, მარტო აპრილში 2 მილიონამდე მეტრი მაღალხარისხოვანი სხვადასხვა ასორტიმენტის ქსოვილი გამოუშვეს და სამაისო ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს.

ხუთწლედი — ვადამდე

## ...კლს მარნეულ-კაზრეთი

[illegible] მნიშვნელოვანი უბანი. მარნეულ-კაზრეთის შტოზე გაიარა პირველმა ელმავალმა. გაიხსნა თბილის-მარნეულ-კაზრეთის მარშრუტით ელექტრომატარებლების რეგულარული მოძრაობა. 80 კილომეტრიან გზას სწრაფი ელმავლები გადიან ორ საათზე ცოტა მეტ დროში.

ახალი უბნის სიგრძეა 42 კილომეტრი. სამუშაოები დაიწყეს აქ აპრილის შუა რიცხვებში და უკვე ორი კვირის შემდეგ ამ შტოს ელექტროფიკაცია ძირითადად დამთავრდა. 14 დღეს მიმდინარეობდა აქ დამკვრელური შრომა. თბილისელი ელექტროფიკატორების დასახმარებლად ჩამოვიდნენ სოხუმის, სამტრედიის, ლენინაკანისა და რკინიგზის სხვა განყოფილებათა სპეციალისტები. მათ პირნათლად შეასრულეს საპირველმაისო ვალდებულებანი.

უბნის ელექტროფიკაცია საგულისხმოა იმითაც, რომ დაბა კაზრეთისირგვლივ იქმნება საქართველოს სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა კომპლექსი. აქ შენდება მძლავრი სამთო-[illegible]დნეულის გული, ისევე როგორც რუსთავის გული გახდა მეტალურგიული ქარხანა. ქალაქში, რომლის თეთრი ქვის სახლები უკვე შეიძლება დღეს ნახოთ მთის მწვანე ფერდობებზე, იცხოვრებს 25 ათასამდე კაცი. ელექტრომატარებლებით თბილისსა და მარნეულს შორის მიმოსვლა სწრაფი და მოსახერხებელი იქნება.

ახლა კაზრეთში მუშაობენ მშენებლები და გეოლოგები. სწორედ ისინი შეხვდნენ პირველ ელმავალს, რომელიც აქ შეჩერდა.

სადგური სადღესასწაულოდ იყო მორთული. პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. სანიკიძემ და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ გ. ქარუმიძემ, რომლებიც გამოვიდნენ იმპროვიზებულ მიტინგზე, რაიონის მცხოვრებლებს მიულოცეს თბილის-კაზრეთის ელექტროფიცირებული შტოს ამუშავება. ეს საქართველოს ფოლადის მაგისტრალების მშრომელთა კიდევ ერთი საჩუქარია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. (საქინფორმი).

## საკავშირო დროშა—სამუდამოდ

რუსთავი. (საკ. კორ.). მოსკოვიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა. პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით რუსთავის ხორცკომბინატის კოლექტივმა გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველ ფულად პრემიასთან ერთად ხორცისა და რძის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა.

ამრიგად, რუსთაველმა ხორცის მწარმოებლებმა საბოლოოდ შეინარჩუნეს ზემოთ დასახელებული დროშა, ორჯერ მათ იგი უკვე მოპოვებული ჰქონდათ შარშან მესამე და მეოთხე კვარტალების მაჩვენებლების მიხედვით.

## შეხვედრა მოსკოვში

8 მაისს მოსკოვში გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იანოშ კადარი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვალტერ ულბრიხტი;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვლადისლავ გომულკა;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. თ. კატუშევი.

შეხვედრის მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური პრობლემების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს მდგომარეობა თავიანთ ქვეყნებში და გამოთქვეს მტკიცე მისწრაფება კვლავაც ყოველი ღონისძიებით განავითარონ მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

შეხვედრამ მეგობრობისა და გულითადობის ატმოსფეროში ჩაიარა.

◆

## მოსკოვიდან გაემგზავრნენ მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები

9 მაისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ:

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვლადისლავ გომულკა;

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

შემოქმედებითი აზრის ადამიანები

## ერთი ინიციატივის სიკეთე

### მკერავი ასრულებს 35 ოპერაციას

◆

შრომა საინტერესო და ხალისიანი იქ არის, სადაც მას შემოქმედებითად უდგებიან და ნათელი აზრით წყვეტენ ახალ-ახალ პროგრესულ საკითხებს.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკა ამ მხრივ შეიძლება „ფრიადოსან საწარმოდ“ ჩავთვალოთ. ამის განმსაზღვრელი ფაქტორი ბევრია, მაგრამ, ჩვენის აზრით, დიდი წვლილი ამ საქმეში მიუძღვის ერთ ინიციატივას, რომელიც ამ სამი წლის წინათ გამოიჩინეს ფაბრიკის ახალგაზრდებმა.

სამკერვალო ფაბრიკაში ტექნოლოგიური პროცესები საკმაოდ რთული და ჩქარია. ამიტომ აქ შრომა განსაკუთრებულ ალღოს, პროფესიულ დაოსტატებას მოითხოვს. მუშამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი ხელით დამზადებულმა ნაწარმმა ვილაცას სიხარული უნდა განაცდევინოს. ამიტომ აქ „ბრმად“ შრომა გამორიცხულია. ასეთი იყო ახალგაზრდა მკერავთა აზრი, როცა საყოველთაო ტექნიკური სწავლებისათვის ჯგუფები შეადგინეს და საწარმოს ადმინისტრაციასთან საერთო-საფაბრიკო კომისია შექმნეს. არ დავიწყნიათ სწავლების პროგრამაც, რომელშიც გათვალისწინებული იყო სამკერვალო მასალათმცოდნეობის, სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგიის ყველა ოპერაციის, მანქანების მოწყობილობის, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვის და სხვა დისციპლინების შესწავლა.

№ 2 საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ლ. კახობერაშვილმა, რომელიც მაშინ ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობდა, ლ. გვაჯაიასთან, ლ. დეკანოსიძესა და მ. ყიფიანთან ერთად ფაბრიკაში პირველმა განახორციელა ინიციატივა, ჩამოაყალიბა ტექნიკური სწავლების ჯგუფები და შეარჩია სამკერვალო ოპერაციები. ოთხ ჯგუფში გაერთიანებული 80 კაცი გამოცხადდა პირველ მეცადინეობაზე და ასე გრძელდებოდა ყოველ ორ კვირაში ერთხელ მთელი წლის განმავლობაში. მონდომებამ კარგი შედეგი გამოიღო. ჯგუფებმა სწავლება წარმატებით დაამთავრეს და ესტაფეტა ახლა სხვა საამქროებს გადასცეს.

მაგრამ შედეგზე სრული წარმოდგენა მაინც ვერ შეგვექმნება, თუ არ გავეცანით ამ ინიციატივიდან გამომდინარე მეტად ეფექტურ ღონისძიებას, რომელიც შარშან განხორციელდა ფაბრიკაში. აქ რესპუბლიკაში პირველად დანერგეს შრომის ორგანიზაციის ამჟამად ყველაზე პროგრესული აგრეგატულ-ჯგუფური ნაკადური პროცესით მუშაობის მეთოდი. თუ წინათ მუშების უმეტესობა 1-3 ოპერაციას ასრულებდა, ახლა 10-15 ოპერაციას (სახელოების, საყელოს, ღილების მიკერება და სხვ.) ფლობს.

არიან ისეთი მუშებიც, რომლებმაც თავისუფლად აითვისეს ტექნოლოგიური პროცესის თითქმის ყველა 35 ოპერაცია. ასე, მაგალითად, თ. არსენიძის მკერავთა ახალგაზრდული ბრიგადის წევრები—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. პისარევა, ნ. ჭადუნიშვილი, ნ. ჟვანია, ა. ბურდილაძე და სხვები კარგახანია წარმატებით ფლობენ ყველა ოპერაციას. მათ არც ქ. შავლაყაძის ბრიგადის წევრები ჩამორჩებიან. მკერავები ნ. გელაშვილი, მ. მჭედლიშვილი, თ. არტემაშვილი, ლ. ყანჩაშვილი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. დეკანოსიძე და სხვები მაღალი ოსტატობით ფლობენ ტექნოლოგიური პროცესის ყველა რგოლს და დღესაც იმაღლებენ ოსტატობის დონეს.

აღნიშნული მეთოდის ეფექტურობას დიდად შეუწყო ხელი ტექნიკურმა სწავლებამ. ფაბრიკაში 35 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 30 პროცენტით შემცირდა ნაწარმის ერთეულზე დახარჯული დრო და ღირებულებაც. ყოველივე ამან საწარმოს წლიურად 178 ათასი მანეთი დაუზოგა.

ასეთია ამ ინიციატივის ეკონომიური სიკეთე. იმ 13 სახის პროდუქციაზე, რომელსაც ფაბრიკა უშვებს, ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა. მომხმარებლებს განსაკუთრებით მოსწონთ ახლახან ათვისებული „ჯერსის“ ქსოვილის ქალის პალტოები. ეს ნაწარმი უკვე 14 ათასი ცალია გამოშვებული. ფაბრიკაში უკანასკნელი თვის დავალებაც გადაჭარბებით არის შესრულებული. მიმდინარე წლის ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 40 ათასი მანეთის პროდუქცია, ხარისხის მაჩვენებელმა 98 პროცენტს მიაღწია.

ყველაფერი ეს კი დაიწყო ერთი ინიციატივით, რომელიც პრაქტიკულად განახორციელეს საწარმოს ახალგაზრდებმა. დღეს თუ მათ დაუსვამთ კითხვას, სად უფრო საინტერესოა მუშაობა, ისინი გიპასუხებენ: ჩვენთან!

ეს მართლაც ამაყად ჟღერს.

რ. ჭელიძე.



სურათზე: № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოწინავე მკერავები (მარცხნიდან): სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. დეკანოსიძე, ც. მინდიაშვილი და ლ. კახობერაშვილი. ისინი სრულყოფილად ფლობენ კერვის მრავალ ოპერაციას.

ფოტო გ. გოგოხიასი.

საქართველოს კომპოზიტორთა IV ყრილობა

## ანგარიშს აბარებენ ქართველი კომპოზიტორები



რამდენიმე დღეა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპოზიტორთა მეოთხე ყრილობამ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი პ. სავინცევი, მოსკოვიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. თორაძემ.

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სახელით ყრილობას მიესალმა კომპოზიტორთა კავშირის მდივანი პ. სავინცევი.

ყრილობის მუშაობის პირველ დღეს მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანეს კომპოზიტორების ს. ნასიძის, რ. ლაღიძისა და ა. ბალანჩივაძის ახალი ნამუშევრები.

დელეგატებმა და სტუმრებმა მოისმინეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ნასიძის ორატორია „ჩემი სამშობლო“ შერეული გუნდისათვის, სოლისტისა და ორკესტრისათვის. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორი უმღერის თავის ხალხს, თავის მიწა-წყალს, სამშობლოს ბედნიერებისათვის დაღუპულ გმირებს.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ზ. ხუროძის ხელმძღვანელობით და რესპუბლიკის სახელმწიფო კაპელა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით. სოლოს ასრულებდა თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობი დ. ჭითავა.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის რ. ლაღიძის ვოკალურ-სიმფონიური ოდა „მელის ვარძია“. იგი შეიქმნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულის დღეებში.

მკაფიო მოვლენაა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. ბალანჩივაძის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ეს არის ჭეშმარიტი ოდა სამშობლოსადმი, მისი ხალხისადმი, ბუნებისა და ხელოვნებისადმი. სოლისტი იყო ჯ. ბალანჩივაძე.

ცხრა მაისს კომპოზიტორთა ყრილობა განაგრძობდა მუშაობას.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს კომპოზიტორ ლ. იაშვილის ოპერეტა „ბაბაჯანას ქოშები“. საღამოს გაიმართა კამერული კონცერტი.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ს. ცინცაძის მეექვსე სიმებიანი კვარტეტი, რომელმაც მუსიკის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მსმენელები გაეცვნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ცაგარეიშვილის საფორტეპიანო კონცერტს. სოლოს ასრულებდა მეორე მუსიკალური სასწავლებლის მე-3 კურსის მოსწავლე ლ. ბაზნელიშვილი (პედაგოგ ე. ყანჩელის კლასი). საღამოზე ვ. აზარაშვილის კონცერტი ფლეიტისათვის შეასრულა სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა შ. შილაკაძის ხელმძღვანელობით, ფლეიტაზე სოლოს ასრულებდა ნ. კიკნაძე. ქართული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის „ნონეტმა“ მსმენელთა სამსჯავროზე წარმოადგინა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვ. გოკიელის სიუიტა.

პროგრამაში შედიოდა კომპოზიტორ ტ. ბაქრაძის კონცერტი ვიოლინოსათვის, რომელიც დაუკრა ამიერკავკასიის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატმა ი. იაშვილმა.

მსმენელები გაეცვნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. კოკელაძის დუეტს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების ო. კუზნეცოვასა და თ. ზაალიშვილის შესრულებით. კომპოზიტორ ა. შავერზაშვილის სამი სიმღერა შეასრულა ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა თ. გურგენიძემ.

10 მაისს, ყრილობის მუშაობის მესამე დღეს, მონაწილეებმა დილით მოისმინეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. დავითაშვილის ახალი საბავშვო ოპერა „ქაჯანა“, საღამოს — რესპუბლიკის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ოპერა „ორი ნოველა“. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე დაიდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ცაბაძის ოპერეტა „ჩემი შეშლილი ძმა“.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საქინფორმი).

## შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად ●

### მაისის დაუვიწყარი დღე

გორი. 9 მაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). მრავალი სტუმარი ჩამოვიდა საზეიმოდ მორთულ გორში. ალისფერი დროშებითა და გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ლოზუნგებით მორთულია ქუჩები და მოედნები. მოსეირნეთა შორის არიან სამამულო ომის მონაწილენი, რომელთა მკერდს ორდენები და მედლები ამშვენებენ.

ბრძოლის გმირული გზა გამოიარეს ამ მხნე ვაჟკაცებმა. გამარჯვების შემდეგ 23 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე არავის არ ავიწყდება ის საგმირო ამბები. და მომავალშიც რომ უკვდავი იყოს მათი გმირობა, ქალაქის ცენტრში 9 მაისს გაიხსნა საბრძოლო დიდების მუზეუმი.

მუზეუმში ფოტოსტენდები მნახველს მოუთხრობენ გორელი ჭაბუკების და ქალიშვილების მონაწილეობაზე დიდ სამამულო ომში.

ცალკე ოთახი აქვს დათმობილი 400-მდე გორელის პორტრეტს, რომლებიც ვეღარ დაბრუნდნენ ფრონტიდან. კედლებიდან გვიყურებენ დაფიქრებული, მოღიმარი, ცხოვრებაში გამოცდილი და პირტიტველი მებრძოლები. აქვე დგას ქართველი დედის ფიგურა, დაფიქრებული და ნაღვლიანი.

ცალკე ოთახი აქვს დათმობილი აგრეთვე რვაასამდე გორელს, ვინც ომის შემდეგ კვლავ სახელოვნად შრომობს ქალაქ გორისა და რაიონის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებში.

მუზეუმი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ ქალაქ გორის, რაიონის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკები როგორ ზრუნავენ შინმოუსვლელთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. მათს გვარებს ხმამაღლა ასახელებდნენ მიტინგის ტრიბუნიდან, რომელიც სტალინის სახელობის მოედანზე მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა.

მიტინგი გახსნა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ბერიანიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი ს. გალუსტაშვილი, სტუდენტი ვ. ყანჩაველი, სამხედრო კომისარი შ. ოდიშარია და სხვები.

### გმირთა ძეგლი

ფოთი, 10 მაისი. (საქინფორმი). ქალაქში საზეიმოდ აღინიშნა გამარჯვების დღე. საბჭოთა ხალხის შესანიშნავ დღესასწაულს დაუკავშირდა დიდი სამამულო ომის გმირთა ძეგლის გახსნა.

ძეგლის გახსნაზე ფოთის მშრომელებთან ჩავიდნენ სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

მიტინგი გახსნა ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ.

მიტინგზე გამოვიდნენ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. გეგენავა, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ზ. ლეჟავა, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ა. ცხადაია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე თ. კვირკველია, კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი თ. კახიანი, საბჭოთა კავშირის გმირი ფ. პახალჩუკი, ფოთის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ვეკუა, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი გ. მირიანაშვილი და სხვ.

საბჭოთა კავშირის გმირმა ა. დანელიამ გაჭრა ლენტი. ძეგლს ჩამოშორდა თეთრი საბურველი და შეკრებილებმა დაინახეს დაღუპულ გმირთა დიდებული ძეგლი.

ძეგლის ავტორია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ე. ამაშუკელი.

ჩაის დღეები დედაქალაქში

## მოსკოველებს ვიწვევთ ქართულ ჩაიზე!

გვესაუბრება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ვადაჭკორია



თოთხმეტიდან თვრამეტ მაისამდე ქ. მოსკოვში მოეწყობა ქართული ჩაის დღეები. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელი შეხვდა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრს ვ. ვადაჭკორიას და ესაუბრა მას. ვბეჭდავთ ჩვენს ინტერვიუს მინისტრთან.

გთხოვთ მოკლედ მოუთხროთ ჩვენს მკითხველებს საქართველოში ჩაის წარმოების ისტორია და რა მიზნებს ისახავს ჩაის დღეების მოწყობა დედაქალაქში.

ჩვენს ქვეყანაში ჩაის არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. რუსეთში ჩაი პირველად 1638 წელს შემოიტანეს. იგი ელჩმა ვ. სტარკოვმა მონღოლეთის ალტი-ხანისაგან ძღვნად მიართვა მეფეს. პირველად მეფის კარზე ჩაის სამკურნალოდ ხმარობდნენ, შემდეგ კი იგი სასმელადაც მოეწონათ და მთელი რუსეთი ეტანებოდა.

პირველი ჩაის მცენარე რუსეთში ჩაის შემოტანიდან მხოლოდ 179 წლის შემდეგ — 1817 წელს დარგეს ყირიმში, ნიკიტსკის ბოტანიკურ ბაღში, მაგრამ აქ მან ვერ იხარა ნალექების სიმცირის გამო.

საქართველოში ჩაის მცენარე ასი წლის წინათ ოზურგეთში ერისთავის სანერგეში დაირგო. ერისთავმა აგრეთვე მოამზადა პირველი ქართული ჩაი.

ჩაის სმა რუსეთში სულ უფრო ვრცელდებოდა. ამ მეტად ძვირფას პროდუქტს რუსეთი უცხოეთში იძენდა. პირველ მსოფლიო ომამდე ყოველწლიურად 70-75 ათასი ტონა ჩაი შემოჰქონდათ, რისთვისაც იხდიდნენ 60-70 მილიონ მანეთს ოქროთი.

ცნობილ მეცნიერებს ვოეიკოვს, ბუტლეროვს, კრასნოვს, კლინგენს, მენდელეევს, ზეიდლიცს, ერისთავს, ნაკაშიძეს და სხვებს დიდი ხანია აინტერესებდათ ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურის გავრცელების საკითხი. მათი აზრით, შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკულ რაიონებში შესაძლებელი იყო ჩაის ბუჩქის გახარება, მაგრამ მათს ინიციატივას მეფის მთავრობამ მხარი არ დაუჭირა.

ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა ჩაის პლანტაცია შავიზღვისპირეთში. 1897 წელს ჩაით მოვაჭრე კ. პოპოვმა სალიბაურში (ჩვენში პირველი) ჩაის ფაბრიკა მოაწყო. მის მიერ გამოშვებული ჩაი „გოლიათი“ დიდი მოწონებით სარგებლობდა და ბევრი ჯილდოც დაიმსახურა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, გლაზგოს, პარიზის ბაზრობაზე, კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე და სხვ.

მეჩაიეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე დიდი ყურადღება ექცევა. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1921 წელს ჩაის პლანტაციები 900 ჰექტარზე იყო გაშენებული, ახლა მწვანე ოქროს ბუჩქები 63 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზეა გადაჭიმული და დიდძალ მოსავალსაც ვიღებთ. ჩვენი ჩაი თავისი ხარისხით არაფრით არ ჩამოუვარდება კლასიკური მეჩაიეობის ქვეყნებისას. ჩვენ გვაქვს სამამულო წარმოების შესანიშნავი მანქანები, რომლებითაც აღჭურვილია რესპუბლიკის 73 ჩაის ფაბრიკა. უფრო მეტიც, სწორედ ჩვენთან შეიქმნა მსოფლიოში პირველი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელიც მეჩაიეებს უმსუბუქებს შრომას. ამ მანქანის შემქმნელმა კოლექტივმა ლენინური პრემია დაიმსახურა. მანქანის შემდგომი სრულყოფისათვის კვლავ გრძელდება მუშაობა .

ჩაი ადამიანის ორგანიზმის მასაზრდოებელ განუყრელ პროდუქტად იქცა. ჩაის სამართლიანად უწოდებენ სიხალისის, სიცოცხლის ელექსირს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით ჩაის დაყენება, მოხმარება. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა საქართველოში ჩაის დღეების მოწყობამ და თბილისში ჩაის სახლის დაარსებამ. ჩაის დღეების დაწყე-

ჩვენი ინტერვიუ

ზითა და ჩაის სახლის დაარსებით ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ამავე მიზნით ეწყობა ჩაის დღეები მოსკოვში.

როგორი მდგომარეობაა ჩაით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში?

ჩაის ძირითადი მწარმოებელი (95 პროცენტი) ჩვენს ქვეყანაში საქართველოა. ამ ბოლო დროს ჩაის კულტურა გავრცელდა აგრეთვე აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის სამხრეთ რაიონებში. მეცნიერთა მეცადინეობით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ქართული ჩაის საუკეთესო უხვმოსავლიანი, მაღალხარისხოვანი ჯიშები.

რესპუბლიკის 73 პირველადი გადამამუშავებელი ჩაის ფაბრიკები, ერთი ჩაის გადამწონი და სამი ჩაის საწნეხი ფაბრიკა ყოველწლიურად უშვებენ 56 ათას ტონა შავ და მწვანე ბაიხაო ჩაის, 10 ათას ტონა მწვანე აგურა ჩაის, 5 ათას ტონა ფილა ჩაის და 12 ათას ტონა დაფასოებულ ჩაის. ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ ამით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ჩაით მხოლოდ 70 პროცენტით ვაკმაყოფილებთ. ამასთან ჩვენი ჩაის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის საზღვარგარეთ.

რას იტყვით ქართული ჩაის ხარისხზე?

ქართული ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციებიდანვე იწყება. მაღალხარისხოვანი ნედლეული მაღალხარისხოვანი პროდუქციაა! ეს კარგად იციან ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა, და მონდომებით შრომობენ იმისათვის, რომ უფრო ამაღლდეს ქართული ჩაის ხარისხი. ამასთან ჩაის მრეწველობის მუშაკებიც სათანადო ყურადღებას აქცევენ ხარისხის ამაღლების საქმეს. მოვიყვან ასეთ ციფრებს: თუ 1950 წელს გამოშვებული პროდუქციიდან 30-32 პროცენტი იყო უმაღლესი და პირველი ხარისხისა, ამ ბოლო წლებში ამ ციფრმა 60 პროცენტს მიაღწია. მაგრამ არც ეს გვაკმაყოფილებს. მომავალში უფრო ამაღლდება ქართული ჩაის ხარისხი და მომხმარებელიც მადლიერი იქნება.

მოსკოვში ქართული ჩაის დღეების მოწყობის გეგმით რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?

დედაქალაქში ქართული ჩაის დღეების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე მოწყობისათვის დიდი შრომაა გაწეული რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით. ამ საქმის უკეთ ორგანიზებისათვის მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. ჩაის დღეების მიმდინარეობას ფართოდ გააშუქებენ ცენტრალური პრესა, მოეწყობა რადიო და ტელეგადაცემები. ამ გადაცემებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩაის ცნობილი სპეციალისტები, მედიცინის მუშაკები. დეგუსტაციაზე მოსკოველები გასინჯავენ უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის, „საქართველოს თაიგულს“, აგრეთვე შავ ფილა ჩაისა და მწვანე აგურა ჩაის. დეგუსტაციაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები. ისინი დამსწრეებს მოუთხრობენ ჩაის გამოყენებასა და სასარგებლო თვისებებზე, ჩაის წარმოებასა და ტექნოლოგიაზე.

დღეს, 12 მაისს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში მოეწყობა პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციის მონაწილენი გაეცნობიან ქართული ჩაის მოკლე ისტორიას, მოსკოვში ჩაის დღეების მოწყობის გეგმას და სხვ.

მოსკოვის კაფე „ლირაში“ 14 მაისს მოეწყობა ქართული ჩაის დეგუსტაცია. მასში მეცნიერთა და სპეციალისტთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები, შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები. დეგუსტაციის შემდეგ მოეწყობა ფილმების ჩვენება ჩაის შესახებ.

14-18 მაისს დედაქალაქის რესტორნებში: „მოსკოვში“, „ცენტრალურში“, „არაგვში“, „სლავურ ბაზარში“, „კრისტალში“, „ახალ ჩერიომუშკში“; კაფეებში „ლირასა“ და „მოსკოვში“, აგრეთვე მსხვილ საწარმოებში მოეწყობა სხვადასხვა სახის ქართული ჩაის სმა და გაყიდვა. მომხმარებლები სპეციალისტებისაგან მიიღებენ კონსულტაციას ჩაის მოხმარებისა და ოჯახის პირობებში დაყენების შესახებ. ამავე დღეებში ასეთივე ღონისძიება მოეწყობა მოსკოვის კიროვისა და ნეგლინაიას ქუჩებზე მდებარე სპეციალურ მაღაზიებში, აგრეთვე დედაქალაქის ორ-სამ დიდ მაღაზიაში. მაღაზიებში მშრომელებს შეუძლიათ შეიძინონ სხვადასხვა ასორტიმენტის კარგად რეკლამირებული ქართული ჩაი.

15 მაისს კაფე „ლირაში“ დედაქალაქის მსხვილი საწარმოების წარმომადგენლებისათვის მოეწყობა ქართული ჩაის მოხმარებითი დეგუსტაცია. დეგუსტაციის დროს ოჯახის პირობებში ჩაის დაყენებასა და შენახვაზე დამსწრეებს ესაუბრებიან მეცნიერები და სპეციალისტები, უჩვენებენ ფილმებს ჩაის შესახებ.

16 მაისს [illegible] მოეწყობა სემინარი ჩაის სასარგებლო თვისებების, დაყენების, მოხმარებისა და გაყიდვის ორგანიზაციის საკითხებზე. ამავე საკითხებზე შემდეგ დღეს მოეწყობა სემინარი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკებისათვის.

დასკვნით დღეს, 18 მაისს, გამოჩენილი მეცნიერები, სპეციალისტები რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელს ესაუბრებიან ქართული ჩაის შესახებ.

აი ასეთია ჩვენი მიზანდასახულობანი. მაშ ასე, მოსკოველებს ვიწვევთ ქართულ ჩაიზე!



# ᲛᲘᲕᲪᲔᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ, ᲠᲫᲔ, ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘ!

**საქართველოს მეცხოველეები თავდადებით იბრძვიან კვების პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ფერმის თვითეულ მუშაკს ნათლად ესმის თავისი როლი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, არ იშურებს ძალ-ღონეს პირუტყვის პროდუქტიულობის გასადიდებლად.**

**ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება ლენინური კომკავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად, ახალგაზრდა მეცხოველეები ცდილობენ თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ 178 ათასი ტონა ხორცისა და 580 ათასი ტონა რძის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიღებისათვის ბრძოლაში.**

**ამ დღეებში სიღნაღში გამართული ახალგაზრდა მეცხოველეთა მესამე რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი ახალგაზრდული ხალისით ლაპარაკობდნენ თავიანთ იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ღირსეულად შეხვდნენ სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავს. საიუბილეო წლის ვალდებულებათა შესრულებაში ახალგაზრდა მეცხოველეთა მონაწილეობისა და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა რ. კონცელიძემ.**

## ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ, ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

**საიუბილეო** წელს საქართველოს მეცხოველეებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის დამზადების გეგმა.

ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საგარეჯოს, ბოგდანოვკის, წითელწყაროს, სიღნაღის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, ბათუმის, ლენინგორისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ახალგაზრდა მწველავებმა, მწყემსებმა, მეფრინველეებმა.

[...]

...გვახარებს ჩვენი მეფრინველეების წარმატებანი. ხუთი წლის მანძილზე მათ ფრინველის სულადობა რესპუბლიკაში 540 ათასით გაზარდეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა მეფრინველეობის ფერმებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებში, საინკუბატორო სადგურებში ყველაზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის... [...]

...ცდება, გამოდის მწყობრიდან. ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ახალგაზრდა სპეციალისტებმა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ახლა რაიონში არ არის ისეთი მეცხოველეობის ფერმა, სადაც არ მუშაობდნენ საქმის მცოდნე ახალგაზრდა ზოოტექნიკოსები, მწველავები და მეძროხეები. მათ შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ მეცხოველეობის მექანიზაციის გაუმჯობესებისა და სოფ... [...]

...უთმობენ ფერმის საუკეთესო მუშაკთა მოწინავე გამოცდილების გამოყენების შედეგების გაშუქებას. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგადაა საქმე მანგლისის საბჭოთა მეურნეობასა და სოფელ ალგეთის კოლმეურნეობაში. ამ მეურნეობების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ლამაზად გააფორმეს მეცხოველეობის ფერმებში წითელი კუთხეები, აწყობენ შეხვედრებს მოწინავე მეცხოველეებთან წარმოების პროგრესული მეთოდების დანერგვისა და კულტურის ამაღლების მიზნით. პრაქტიკაში დაინერგა შაბათობების მოწყობა ფერმების ტერიტორიების გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის.

თეთრწყაროელმა მეცხოველეებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და ახლა მიმდინარეობს მათი რეალიზაცია. კომკავშირელები, ახალგაზრდობა ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ ახალი მიღწევებით შეხვდნენ სახელოვან იუბილეს — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს და განახორციელონ კომკავშირის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებანი.

გამგეობის, ... უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ მეცხოველეთა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება. მეცხვარეებთან ხშირად დადიან კოლმეურნეობის თვითმოქმედების წრის წევრები, მიაქვთ მათთვის ახალი ლიტერატურა, ემსახურებიან წითელი კუთხეების გაფორმებაში. მაგრამ ეს არ კმარა. სასურველია, რომ ჩვენი მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწენი მეცხოველეთა ხშირი სტუმრები იყვნენ.

## ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ

**დუშელ** მეცხვარეთა სახელით შეკრებას მიესალმა სოფელ ჩარგლის კოლმეურნეობის მწყემსი **შ. ჩიტაური.** მან აღნიშნა, რომ შეკრება მიმდინარეობს საზეიმო დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა შემოქმედებითი შრომით ღირსეულ საჩუქარს უმზადებს ლენინური კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. სოფლის მთელ ახალგაზრდა მშრომელებთან ერთად დუშეთის რაიონის ქალიშვილები და ჭაბუკები ისწრაფვიან ახალი სიმაღლეები დაიპყრონ თავიანთ შრომაში.

ფშავ-ხევსურეთის სოფლებისათვის მეცხოველეობა მეურნეობის ძირითადი დარგია. კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად შრომობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულებისათვის. მწველავები და მწყემსები ე. ჩოხელი, ე. წიკლაური, ნ. წიკლაური, ნ. ამირიძე, ვ. აფციაური, ს. ჩოხელი და ბევრი სხვა კარგად არიან ცნობილი მთაში.



ახალგაზრდა მეცხვარემ ილაპარაკა თავის რთულ და საინტერესო პროფესიაზე. 21 წლიდან იგი ცხვრის ფარებს მწყემსავს კასპიისპირეთის ველებში. ბევრ სირთულეს აწყდებიან მწყემსები თავიანთ ძნელ გზაზე, სტიქიასთან ბრძოლაში ყალიბდება ხასიათი, [...]

## ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲒᲖᲘᲗ — „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲥᲐᲠᲐᲕᲜᲔᲑᲘᲡ" ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

**ტრიბუნაზეა** მწერალი **მერაბ ელიოზიშვილი.** ფილმმა „თეთრმა ქარავანმა", რომელიც მისი სცენარის მიხედვით გადაიღეს, წარმატებით მოიარა ჩვენი ქვეყნის ეკრანები, ნაჩვენები იყო კანის ფესტივალზე. ფილმის გმირები შეუყვარდათ შეკრების მონაწილე ახალგაზრდა მეცხოველეებსაც. მწერალმა უამბო მათ, თუ როგორ მუშაობდა სცენარზე.

ყაზბეგის რაიონის სოფლებში არ ჩერდებოდა ახალგაზრდობა. არავინ იყო, რომ ცხვრის ფარა გაელალა ზამთრის საძოვრებზე, არავინ იყო, რომ გაეგრძელებინა მამათა ძნელი, საამაყო, საუკუნეებითა და ტრადიციებით დამკვიდრებული საქმე. ამ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრობდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, რაიონის მთელი საზოგადოებრიობა. მთავარი ყურადღება დაეთმო სოფლის ახალგაზრდობის შრომისა და ყოფაცხოვრების, სწავლისა და კულტურული დასვენების საკითხებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ახალგაზრდა პროზაიკოსი შემოქმედებითი მივლინებით გაგზავნა მაღალი მთის საძოვრებზე. მ. ელიოზიშვილმა რამდენიმე თვეს დაჰყო მწყემსებთან, მათთან ერთად იზიარებდა სიძნელეებსა და გაჭირვებას, შემდეგ კი დაწერა სცენარი, რომლის მიხედვითაც რეჟისორებმა ელდარ შენგელაიამ და თამაზ მელიავამ დადგეს ფილმი „თეთრი ქარავანი".

ორატორმა უსაყვედურა ახალგაზრდა შემოქმედებითს მუშაკებს, რომ ძალიან იშვიათად მიმართავენ ხოლმე მეცხოველეთა ყოველდღიური ცხოვრებისა და შრომის თემას. „თეთრი ქარავნის" წარმატების მიზეზი ხომ სწორედ ის არის, რომ ავტორებმა სწორად გაიგეს და შემოქმედებითად გაიზიარეს მწყემსების სოციალური შეგრძნება.

ბევრი ახალგაზრდა მეცხვარე დაუბრუნდა ბოლო წლების მანძილზე მთის სოფლებს, ბავშვობიდანვე ნაცნობ ბილიკებს, რომლებითაც მათი პაპები მიერეკებოდნენ „თეთრ ქარავნებს".

— კომკავშირელები შეფობას უწევენ მეცხოველეობის ფერმებს. ქალიშვილებსა და ჭაბუკებს დიდი წვლილი შეაქვთ რაიონის მეცხოველეთა მიღწევებში. ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა კომკავშირის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ძებისაშვილმა.** [...]

[...]

...ძიებანი მეცხოველეობის ყოველნაირად აღმავლობისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი სახელოვანი მეცხოველეები, ისევე როგორც ახალგაზრდა მეჩაიეები და მეციტრუსეები, მევენახეები და მებაღეები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

## ᲣᲤᲠᲝ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲕᲬᲕᲓᲔᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ

**ახალგაზრდა** მეცხოველეთა მესამე რესპუბლიკური შეკრება დიდი მოვლენაა ჩვენი რაიონის მშრომელთა ცხოვრებაში, თქვა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. გელაშვილმა.** სიღნაღელმა მეცხოველეებმა უკანასკნელ წლებში გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს პირუტყვის სულადობის განვითარებაში, პროდუქტიულობის ზრდაში. დიდი როლი შეასრულა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვამ წარმოებაში. ფერმებში ფართოდ გამოიყენება მწვანე მასის დასილოსება ფორმალინით და ნიშადურის სპირტით, ფენოტიაზინის, ასკანგელის [...]

...ყავთ, პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ ვერ ანაზღაურებდნენ დანახარჯებს. რაიონულმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ შეფობა იკისრა საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის მშენებარე ფაბრიკაზე, რომელიც გათვალისწინებულია 12 ათასი მოქცეულისათვის. ქალიშვილები და ჭაბუკები ენთუზიაზმით აშენებენ მეფრინველეობის ფერმებს.

## ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲡ

**ჩვენი** შეკრება მიმდინარეობს ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში. ეს სახელოვანი თარიღი, აღნიშნა კომკავშირის თეთრიწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. დალაქიშვილმა,** ყველა ჩვენთაგანისათვის დიდი სტიმულია — ვიშრომოთ უკეთ, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში. თეთრწყაროელმა მეცხოველეებმა კარგად დაამთავრეს გასული წელი, გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალებანიც.

ამაში დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდობამ. [...]

[...]

...ხაროდ, ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს მეცხოველეთა შრომის შემსუბუქებას.

ხორცის წარმოების გადიდების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვია მეღორეობა. შარშან კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ცხაკაიას, წითელწყაროს, გარდაბნის, გურჯაანის, ზოგიერთი სხვა რაიონის ახალგაზრდა მეღორეებმა.

[...]

# საერთაშორისო ცხოვრება

## ვიეტნამელი ხალხი ესწრაფვის მშვიდობას

### სუან თხიუის განცხადება

პარიზი, 9 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი გულთბილად მიესალმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მინისტრს სუან თხიუს, რომელიც დღეს თვითმფრინავით ჩამოფრინდა პარიზს ჰანოიდან მოსკოვში შეჩერების შემდეგ.

სუან თხიუმ აეროდრომზე გააკეთა განცხადება პრესის წარმომადგენელთათვის. „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით — თქვა მან, — ჩამოვედით პარიზში, რათა შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელთან ერთად ოფიციალურად განვიხილოთ ის საკითხი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რაიმე პირობის დაუთქმელად შეწყვიტოს დაბომბვა და სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შემდეგ კი განვიხილოთ ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხები".

„ვიეტნამელი ხალხი მხურვალედ ესწრაფვის დამოუკიდებლობასა და მშვიდობას, — განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა — შეერთებული შტატებისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას სურს, რომ რაც შეიძლება მალე შეწყდეს ამერიკის მთავრობის მიერ გაჩაღებული ომი ვიეტნამში. რაც შეეხება ვიეტნამის მხარეს შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელთან ოფიციალურ შეხვედრაზე, ჩვენ დავიკავებთ სერიოზულ პოზიციას და ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ განხორციელდეს ვიეტნამელი ხალხის სურვილი, ამერიკელი ხალხისა და მსოფლიოს ყველა ხალხის მისწრაფება".

## მოწოდება მოსახლეობისადმი

ჰანოი, 10 მაისი. (საკდესი). საიგონ-ზიადინის რაიონის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის კომიტეტმა მოსახლეობას მოუწოდა ხელში აიღონ იარაღი და დაამხონ საიგონის რეჟიმი.

კომიტეტის მოწოდებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა და თან დაიმოწმა განთავისუფლების სააგენტო, ხაზგასმულია, რომ ამჟამად შექმნილი ვითარების დროს საიგონ-ზიადინის რაიონის მოსახლეობის ყველა ფენისათვის მომწიფდა პირობები ხელში აიღონ იარაღი, დაამხონ მარიონეტული რეჟიმი და დაამყარონ თავიანთი ხელისუფლება.

## ქართველ მოცეკვავეთა წარმატება

რიო-დე-ჟანეირო, 9 მაისი. (საკდესი). დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის გამოსვლებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ქალაქებში რესიფსა და სალვადორში.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიის მცხოვრებნი პირველად გაეცნენ საბჭოთა ხელოვნებას. ბრაზილიელები გააოცა მოცეკვავეთა დიდებულმა ოსტატობამ და ცეკვის დაუვიწყარმა ეროვნულმა კოლორიტმა, წერდა გაზეთი „ჟონალ დო კომერსიო", რომელიც რესიფში გამოდის. თავიანთი ხელოვნებით ქართველმა მსახიობებმა საუკეთესოდ დაგვანახვეს ხალხის სული, აღნიშნავს გაზეთი. ეჭვი არ არის, წერს თავის მხრივ გაზეთი „დიარიო დო პერნამბუკუ", რომ ანსამბლის გამოსვლები იყო ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც კი ოდესმე უნახავს ბრაზილიის სცენას. საზოგადოების აღტაცებასა და ენთუზიაზმს საზღვარი არ ჰქონდა.

ექვს გამოსვლას ამ ორ ქალაქში დაესწრო 15.000 კაცი.

პერნამბუკუს შტატის გუბერნატორმა ნილო კოელიომ, რომელიც პრემიერას დაესწრო, თავისი აზრი გამოხატა ორი სიტყვით: „დიდებული სპექტაკლია". მსახიობთა წარმატების აღსანიშნავად მან გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი.

არანაკლები წარმატებით დაიწყო გუშინ ანსამბლის გამოსვლები რიო-დე-ჟანეიროს მუნიციპალურ თეატრში, რომლის მაყურებლები მანამდე გაეცნენ ბევრ სხვა საბჭოთა ანსამბლსა და თეატრების დასებს. თითქმის 2.000 მაყურებელი დაესწრო პრემიერას. ისინი მსახიობებს ხვდებოდნენ მქუხარე ტაშით.

## მხოლოდ ფაქტები

◆ ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). ნიუ-იორკის ხელისუფალნი ემზადებიან „ცხელი ზაფხულისათვის" — ზანგთა მღელვარების ახალი პერიოდისათვის. ქალაქში უკვე არის 197 „საპატიმრო". აღგენენ საპატიმროთა საკნების „შემჭიდროების", დაპატიმრებულთა მოსათავსებლად მთავრობის შენობათა გამოყენების გეგმებს.

◆ პარიზი, 10 მაისი. (საკდესი). არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იყო გუშინ დარბაზში, სადაც გაიმართა მიტინგი, რომელიც საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო.

გახსნა რა მიტინგი, საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე შეეხო, კერძოდ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მომავალ შეხვედრას პარიზში.

◆ ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები გუშინ განაგრძობდნენ აქტიურ მოქმედებას საიგონის რაიონში და უფრო მიუახლოვდნენ ქალაქის ცენტრს, ვიდრე ოდესმე წინათ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, საიგონის სამხრეთ და აღმოსავლეთ სექტორებში დანგრეულია მთელი უბნები ჰაერიდან დაბომბვის შედეგად, რასაც ამერიკის მოიერიშე ბომბდამშენები და ვერტმფრინავ-რაკეტმზიდები აწარმოებენ, რომლებიც ცდილობენ შეაჩერონ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წინსვლა.

## ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღესასწაული

პრაღა, 9 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები დღეს ზეიმით აღნიშნავენ რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური ოკუპაციისაგან საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 23-ე წლისთავს.

განთავისუფლების, მეგობრობისა და მშვიდობის დიდი დღესასწაული გაიმართა დღეს დედაქალაქის უდიდეს იულიუს ფუჩიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

მრავალათასიან მიტინგში, რომელიც აქ მოაწყეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირმა, ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიამ, მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ი. სმრკოვსკიმ, ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. კრიგელმა და ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელებმა.

მიტინგს დაესწრნენ აგრეთვე დღესასწაულზე ჩამოსული საბჭოთა სამხედრო დელეგაციის წევრები საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, უკრაინის სსრ კულტურის მინისტრი რ. ვ. ბაბიიჩუკი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო და სოციალისტური ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიკ სვობოდამ.

დღევანდელ სახელოვან დღეს ჩვენ ვიხსენებთ ისტორიულ ამბებს, როცა სასტიკი ფაშისტური ოკუპაციის მრავალი წლის შემდეგ ჩვენმა ხალხებმა კვლავ შვებით ამოისუნთქეს და შექმნეს ახალი ცხოვრება განთავისუფლებულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა ჯარების გაბედული, საბრძოლო ოპერაციით დამთავრდა მთელი ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება და ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ომი კაცობრიობის ისტორიაში, რომლის დროსაც ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს ანტიფაშისტური, დემოკრატიული და პროგრესული ძალები.

ერთად დაღვრილმა სისხლმა და მსხვერპლმა განამტკიცა და გამოაწრთო ჩვენი ხალხების მტკიცე მეგობრობა საბჭოთა ხალხთან. დღეს ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ, რომ ყოველივე ის, რაც უზომოდ მძიმე პირობებში გააკეთა საბჭოთა ხალხმა, ის, რაც მან გააკეთა ჩვენთვის და მთელი მსოფლიოსათვის, ჭეშმარიტად განცვიფრების, პატივისცემისა და მადლობის ღირსია. ჩვენი მეგობრობა და კავშირი საბჭოეთთან, განაგრძო ლ. სვობოდამ, ბუნებრივია, მას საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი და ეყრდნობა ჩვენი ხალხის გონებასა და გრძნობებს.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის მარშლის ი. ს. კონევის მისასალმებელი სიტყვა, საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელით მან მხურვალედ მიულოცა ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს გამარჯვების დღესასწაული, განთავისუფლების დღესასწაული. ფაშიზმზე გამარჯვებამ, თქვა მან, მონობისაგან იხსნა მთელი ევროპის ხალხი. მან ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებს გაუკვალა სოციალიზმის გზა. ამ გზას ადგანან საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია. ეს მეგობრობა უზრუნველყოფს ჩვენს წარმატებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეში.

დასასრულ ი. ს. კონევმა გამარჯვება უსურვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა წმიდათაწმიდა მეგობრობას.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ტექსტი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მისალმებისა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი.

საბჭოთა ხალხისადმი მისალმება გადაეცა მსოფლიოში ცნობილ ჩეხოსლოვაკიის სპორტის ვეტერანებს დანა და ემილ ზატოპეკებს. ისინი ჩაუდგებიან სათავეში მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ასობით ქალაქსა და სოფელს გაივლის და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადაეცემა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს.

ტ. მარტინოვა,
ვ. დიევი.

## მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

### ა. ჰარიმანი პარიზში ჩავიდა

პარიზი, 10 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შეხვედრაზე პარიზში ჩამოვიდა ამერიკის დელეგაციის მეთაური ავერელ ჰარიმანი.

### რობერტ კენედის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). სენატორმა რ. კენედიმ, რომელიც ცდილობს დაასახელოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ახორციელებდეს „საგარეო პოლიტიკას, რომელიც ცხადად და გარკვევით მოითხოვს ვიეტნამის ომის შეწყვეტას".

სიტყვა წარმოთქვა რა ატლანტიკ-სიტში ავტომობილმშენებელთა პროფკავშირის ყრილობაზე, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „აქვს მოვალეობანი მსოფლიოში, მაგრამ ეს არ არის საერთაშორისო პოლიციელის მოვალეობანი".

რ. კენედიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ შეუძლია დააკისროს ჯარებს იომონ და მხარი დაუჭირონ მოღალატე მთავრობებს, რომლებსაც მხარდაჭერა ვერ მოუპოვებიათ თავიანთ ქვეყნებში. შემდეგ სენატორმა აღნიშნა, რომ ერთი თვის განმავლობაში, რაც გავიდა მარტინ ლუთერ კინგის მოკვლის დღიდან, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „სამოქალაქო ომის უფსკრულში" ჩაიხედა, მთავრობას არა გაუკეთებია რა ზანგთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

## ძალადობის პოლიტიკა გრძელდება

### წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პალესტინელი პატრიოტების მოქმედების შესახებ ისრაელის საჩივრის პასუხად. წერილში აღნიშნულია, რომ პალესტინელი ხალხი ახორციელებს თავის ბუნებრივ და ხელშეუვალ უფლებას წინააღმდეგობა გაუწიოს უცხოეთის ოკუპაციას.

ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიის ოკუპაციას თან სდევს არაბეთის საკუთრების ექსპროპრიაცია და არაბებისათვის ძვირფას სულიერ და მორალურ ფასეულობათა შებღალვა. ბუნებრივია, ისრაელის ასეთი პოლიტიკა წააწყდა არაბთა წინააღმდეგობას, რომლებიც იცავენ თავიანთ ქვეყანას, თავიანთ ოჯახებსა და ქონებას, აღნიშნულია წერილში.

ისრაელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიერეკება მკვიდრ არაბ მცხოვრებლებს და მათ მაგივრად მოჰყავს ისრაელი ახალმოსახლენი. ისრაელის ეს პოლიტიკა, აღნიშნულია წერილში, იმდენად აშკარად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომ სავსებით ამართლებს პალესტინელი ხალხის კანონიერ წინააღმდეგობას. ამიტომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის ღონისძიებათა ჩაფუშვისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ ისრაელს ეკისრება.

## ა. ხელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის უხუცესი მოღვაწე, სკკპ წევრი 1927 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე.

ა. ხელიძე დაიბადა 1895 წელს ქ. ქუთაისში, სადაც 1914 წელს დაამთავრა კლასიკური გიმნაზია. 1921 წელს წარმატებით დაასრულა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-სამედიცინო აკადემია, აკადემიის დამთავრების შემდეგ იგზავნება ქ. თბილისში კავკასიის არმიის სამხედრო-სანიტარული სამმართველოს განკარგულებაში, სადაც მუშაობდა სამხედრო ექიმად 1925 წლამდე. ამავე წელს იგი იგზავნება კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქ. ლენინგრადში სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში.

1927 წელს ა. ხელიძე დანიშნეს ჰოსპიტლის უფროსად, 1929 წელს კი — წითელი არმიის კისლოვოდსკის სანატორიუმის უფროსად, ხოლო 1933 წლიდან 1938 წლამდე ხელმძღვანელობდა ბათუმისა და ბაქოს სამხედრო ჰოსპიტლებს.

სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ა. ხელიძე ხელმძღვანელობდა თბილისის საოლქო ჰოსპიტალს, სადაც დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე შეუდგა საბჭოთა არმიის დაჭრილი და ავადმყოფი მეომრების მკურნალობისა და მათი სამშობლოს დამცველთა რიგებში დაბრუნების კეთილშობილურ საქმეს.

1943 წლის ბოლოს ა. ხელიძე დანიშნეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად, ხოლო შემდგომ მინისტრად. ამ თანამდებობაზე იყო 1954 წლამდე.

1965 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელად.

ა. ხელიძე ორჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და სამჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ა. ხელიძის მრავალი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, წითელი დროშის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და მედლებით.

ა. ხელიძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მეგობრებისა და საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-სამედიცინო სამმართველო, პროფ. გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

## კარგად გემსახუროთ, სამშობლოს დამცველებო!

10 მაისს თბილისის მშრომელებმა საზეიმოდ გააცილეს საბჭოთა არმიის ახალწვეულები. ამ მოვლენას რესპუბლიკის გასაწვევ პუნქტში მიეძღვნა მიტინგი.

ეზოში ჩამწკრივდნენ ახალწვეულები. ესენი არიან ჭაბუკები, რომლებიც გუშინ იდგნენ ჩარხებთან, მანქანებთან, ადნობდნენ თუჯსა და ფოლადს, შრომობდნენ რესპუბლიკის მინდვრებში, პლანტაციებსა და ფერმებში. ესენი არიან ხალხის შვილები, რომლებიც ხვალ გახდებიან მისი დამცველები.

მიტინგი გახსნა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა გენერალ-მაიორმა ვ. მურუსიძემ. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო მელოდია. მწკრივი სმენაზე დგას.

— ხალხი გაცილებთ ღირსშესანიშნავ დღეებში, — თქვა მიტინგზე საქართველოს სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა შ. იაშვილმა, — ჩვენმა ქვეყანამ ახლახან იზეიმა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავი, ახლა კი მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება დიდი იუბილესათვის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. მაშ, იყავით რევოლუციის ბელადის საქმის ღირსნი, ფხიზლად დაიცავით ოქტომბრის მონაპოვარნი.

ახალწვეულთა სახელით მიტინგზე გამოვიდნენ რ. კუსიკაშვილი და ა. პალმანოვი. მათ შეკრებილთ აღუთქვეს, რომ ქართველი ჭაბუკები გაამართლებენ ხალხის მაღალ ნდობას, იქნებიან სამშობლოს ერთგული დამცველები.

ახალწვეულებს გზა დაულოცა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სახელით მან ახალწვეულებს უსურვა კარგი ჯარისკაცული სამსახური, დიდი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

— დაე ომის გმირთა საბრძოლო მამაცობა იყოს თქვენთვის სამშობლოს ერთგული სამსახურის მაგალითი, — მიმართა ახალწვეულებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გამრეკელმა.

მიტინგი დამთავრდა. ჟღერს საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნი. ახალწვეულთა კოლონები მიემართებიან ეშელონებისაკენ.

კარგად გემსახუროთ, სამშობლოს დამცველებო! (საქდესი).

## სოფლის მშრომელთა ყრილობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ზოდი მოწინავე და კეთილმოწყობილი სოფელია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი განახლდა, რაშიც წვლილი შეიტანეს საქალაქო და სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა.

ზოდი ახლა ხუთ სოფელს აერთიანებს. ახალ ადმინისტრაციულ შენობაშია სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. აქ არის ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი, ერთი დაწყებითი სკოლა სამოცზე მეტი მასწავლებლით, აქვეა სასოფლო საავადმყოფო, აფთიაქი და სხვ.

მაგრამ სოფლის კეთილმოწყობაში არის ნაკლოვანებებიც. სწორედ სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების კეთილმოწყობითი სამუშაოების დაჩქარებაზე იმსჯელა სოფლის ყრილობამ, რომელმაც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბ. კუპატაძის მოხსენება მოისმინა.

— ნაკლები ღონისძიებები ტარდება შემოერთებული სოფლების დარკვეთის, ზედუბნისა და მოხროთუბნის კეთილმოწყობისათვის, — აღნიშნა მომხსენებელმა — ერთიანი ბრძოლა როდია გაშლილი ბუნების დაცვისათვის, ტყეების გაშენება-გაფართოებისათვის. ზოგიერთი ერიდება შრომითი მონაწილეობის მიღებას ამ საქმეში. მომხსენებელმა გააკრიტიკა შახტმშენის სამმართველო, რომელმაც უხარისხოდ გააკეთა საავტომობილო გზა, და ბინათმშენებლობის სამმართველო, რომელიც აჭიანურებს ზედუბნის სკოლის მშენებლობას.

ყრილობაზე სიტყვებით გამოვიდნენ ზოდის ინტელიგენციისა და კოლმეურნეობის წარმომადგენლები პ. გაბრიჭიძე, ვ. გაბაძე, ფ. უთალიშვილი, გ. ჭიღლაძე, უ. ღუდუნიშვილი, ლ. გოგოლაძე და სხვები. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ჭიათურის მარგანმშენის ტრესტის მმართველმა გ. შანიძემ და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ.

მოკამათეებმა მოითხოვეს ზოდში საბავშვო დაწესებულებათა გახსნა, საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, სტადიონის მშენებლობა, ცენტრალური სატელეფონო სადგურის მოწყობა, გადახსნით სამუშაოებით დაზიანებული სავარგულების აღდგენა და სხვ.

ყრილობამ დასახა ღონისძიებანი სოფლის კეთილმოწყობა-დამშვენებისათვის.

## პენსიონერის საჩუქარი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ეს ამბავი ახლახან მოხდა. ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმს ღორეშაში სერგოს ახლო ნათესავმა პენსიონერმა შალვა ტატიშვილმა საჩუქრად გადასცა ორჯონიკიძის ნაქონი საფირმლო იარაღები.

შ. ტატიშვილი ქ. ჭიათურის მცხოვრებია. მან გვიამბო:

1905 წლის ქარიშხლიანი პერიოდი იყო. მშობლებმა სოფელ ღორეშაში — დედულეთში წამიყვანეს (დედაჩემი ს. ორჯონიკიძის ღვიძლი ბიძაშვილი იყო). იმხანად სერგოც სოფელში ჩამოსულიყო. დიდი სტუმართმოყვარეობით შეგვხვდნენ. წამოსვლისას სერგომ დედაჩემს გადასცა საფირმლო იარაღები და უთხრა: — ჩემო დაო, მე ამ იარაღებისა და ფირმლობისათვის აღარ მცალია... წაიღეთ, თქვენთან იყოს, იქნებ თქვენს შთამომავლობას გამოადგეს...

საჩუქარი ტატიშვილების ოჯახში ფაქიზად ინახებოდა. ამ დღეებში სერგოს იარაღები მუზეუმის საკუთრებად იქცა.

## ჯილდო მწერალ-ჟურნალისტს

ცხინვალი. (საკ. კორ.). მწერალი და ჟურნალისტი ვლადიმერ გელაშვილი ჯერ კიდევ 19 წლისა იყო, როცა მამაცურად იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იმითაც გამოიჩინა თავი, რომ აქტიურად მონაწილეობდა ფრონტული გაზეთების მუშაობაში როგორც სამხედრო კორესპონდენტი.

მას შემდეგ ოცდახუთ წელზე მეტმა განვლო. ახლახან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამამულო ომის ფრონტებზე დამსახურებისათვის ვლადიმერ გელაშვილი დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

## ქვეყნები და ადამიანები

საკდესის კორესპონდენტმა ს. კულიკმა იმოგზაურა კუნძულ მადაგასკარზე მდებარე მალაგასის რესპუბლიკაში. ამ ეგზოტიკურ ქვეყანაში მიღებულ შთაბეჭდილებებს იგი გადმოგვცემს წერილში „ათასი სოფლის" ქალაქი". რომელსაც ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.

## „ათასი სოფლის" ქალაქი

როვას მწვანეში ჩაფლული მაღალი ბორცვიდან, სადაც ოდესღაც მადაგასკარის მმართველები ცხოვრობდნენ, ხოლო ახლა მალაგასის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეა აშენებული, ტანანარივეს მომხიბლავი ხედი იშლება. დედაქალაქის ცენტრში არის უვავილოვანი ხეებით გარემოსილი ტბორი, რომლის შუაგულში აღმართულია 30-მეტრიანი კოლონა. იგი აგებულია იმ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლებიც ორ მსოფლიო ომში დაიღუპნენ. შორიახლოს მოჩანს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ცათამბჯენების რკინაბეტონის ჩონჩხი, სადაც მალე კომპანიათა გამგეობები და სახელმწიფო დაწესებულებები შესახლდებიან. იქით კი, სადამდისაც თვალი სწვდება, ბორცვების კალთებზე ერთმანეთზე „შემჯდარა" ძველი ტანანარივეს კვარტალები, დაყოფილი პარკების მასივებითა და საბაზრო მოედნებით.

გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც მეფე ანდრიანამპოინიმერინის მეომრებმა მაღალი ქედები გადმოლახეს და ამ ადგილებში მოხვდნენ, მთის კალთებზე მრავალ სოფელს წააწყდნენ. სწორედ აქედან წარმოდგა სახელწოდება ტანანარივე, რაც მალგაშურ ენაზე „ათას სოფელს" ნიშნავს.

„ათასი სოფლის" ქალაქში და მის შემოგარენში მერინას ხალხი ცხოვრობს. მისი წარმოშობა ერთ-ერთი ამოუცნობი საიდუმლოებაა. მიუხედავად იმისა, რომ მადაგასკარი აფრიკის სანაპიროდან სულ რაღაც 500 კილომეტრზე მდებარეობს, მერინას ხალხს გარეგნული იერითა და კულტურით არაფერი აქვს საერთო შავი კონტინენტის მცხოვრებლებთან. მათ ყვითელი ფერის კანი აქვთ, მონღოლური თვალის ჭრილი, გადატკეცილი შავი თმა და თავისებური ენა, რომელიც ძალზე უახლოვდება პოლინეზიურ დიალექტს. ბევრი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ მერინა იმ მამაც პოლინეზიელ ზღვით მოგზაურთა შთამომავლები არიან, რომლებმაც ახალი ერის დასაწყისში ზონდის კუნძულები დატოვეს, და პასატური ქარების წყალობით მადაგასკარის ნაპირებს მიადგნენ.

აზიის გავლენა მერინას ტანსაცმელსაც ეტყობა, ქალაქის მცხოვრებლებიც კი ბრინჯის ნამჯისაგან დაწნულ ფართოფარფლიან ქუდებს ატარებენ, ხოლო ტანანარივეში ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს აუცილებლად მხარზე გადაგდებული აქვთ შარფის მაგვარი ლამბა, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ინდონეზიაში.

აფრიკის უმრავლეს დედაქალაქისაგან განსხვავებით, წყლის ორი წვეთივით რომ გვანან ერთმანეთს, ტანანარივემ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული ლაზათი და კოლორიტი. მისი ქუჩები ხშირად კიბეებს ჰგავს, რომლებზეც გაშენებულია ორიგინალური, როგორც წესი, ორსართულიანი ქვის სახლები, რომლებიც ვიწროდ აწოწლოკინებულ საშოშიებს მოგაგონებთ. ეს არის ტიპიური მალგაშური ნაგებობები, რომლებიც მადაგასკარზე ევროპელების მოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაჩნდნენ. ძველი ქალაქის ცენტრში, იქ, სადაც დედაქალაქის ახალი ქუჩა ინდეპენდანსი გადის, გიგანტური ბაზარია.

ამბობენ, რომ ეს ბაზარი აქ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში არსებობდა და მას შემდეგ თითქმის არ შეუცვლია გარეგნული სახე. რას არ ნახავთ აქ! ყავისფერი ქერქით დაფარულ და შესანიშნავ არომატიან დარიჩინს, მთებად დაზვინულ შავ დალმეჭილ ჩოტებს, გარეგნულად შეუხედავს, მაგრამ ოქროს ფასი რომ ღირს,— ეს არის ვანილი, რომლის წარმოებით მადაგასკარს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. მის გვერდით გორებად დგას წვნიანი ხურმა. დიდრონი ანანასები, ოქროსფერი მანგო და ტკბილი ყურძენი. ხელოსანთა დუქნები ხალხური ხელოვნების ნამდვილი გამოფენაა, სადაც შეიძლება შეიძინოთ შავი ხისაგან გამოთლილი მეომრის ბიუსტი, ბამბუკისაგან გაკეთებული და ჟანრული ორნამენტით მოხატული ხალხური მუსიკალური საკრავი „ველიხა" ან პალმის ბოჭკოსაგან დაწნული ნაირფერი კალათები, თეფშები, ქუდები.

ყურადღებას იქცევს მყუდრო ფარდული, რომელიც ნაირ-ნაირი ქვებით არის სავსე.

— გთხოვთ შემობრძანდეთ, — ეპატიჟება პატრონი უცხოელს,— შემიძლია შემოგთავაზოთ მადაგასკარის მინერალების კოლექცია, თუ გნებავთ — ძვირფასი ქვებიც. მან გადასწია ფარდა, და გამოაჩინა ვიტრინა, რომლის სიმდიდრე ყოველ მუზეუმს შეშურდებოდა.

შემდეგ ხშირად შევდიოდი ფარდულის პატრონ რაკოტო სედსონთან, რომელსაც ახალგაზრდობაში ქვების ძებნაში მთელი კუნძული შემოუვლია და აფრიკის ბევრ სხვა ქვეყანაშიც ყოფილა.

— მერწმუნეთ, — ამბობს იგი, — არც ერთი მიწა არ არის ისეთი მდიდარი, როგორც ჩვენი. ტანანარივესა და ტამატავეს — კუნძულის მთავარ ნავსადგურს— შუა შეიძლება იპოვნოთ მსოფლიოში სახელგანთქმული მადაგასკარული ტურმალინი და გიგანტური თოპაზები, აკვამარინი, იშვიათი ძოწი და ბივრილი. ამ სიმდიდრის სამრეწველო მოპოვებას მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი. თითქმის ყველაფერი, რაც ტანანარივეში იყიდება, ცალკეული ენთუზიასტებისა და გლეხების ნაპოვნია. ხშირად მათ წარმოდგენაც არა აქვთ ხოლმე თავიანთი ნაპოვნის ნამდვილ ღირებულებაზე, და იშვიათ ქვებს ჩალის ფასად ყიდიან. ის, რაც შეიძლება მადაგასკარზე ათ დოლარად იყიდოთ, პარიზში ან ნიუ-იორკში ასობით დოლარი ღირს. მაგრამ უნდა ნახოთ, რა სილატაკეში ცხოვრობენ ამ განძის მომპოვებლები!

ეს მართალია. იგი განსაკუთრებით გეცემათ თვალში „ათასი სოფლის" ქალაქში. ლატაკთა ჯგუფებს, ტურისტებს რომ უსაფრდებიან სასტუმროების შესასვლელთან, შეადგენენ უსახლკარო მოხუცები, რომლებსაც ტროტუარებზე სძინავთ, ჩამოკონკილი ჭაბუკები, რომლებიც ტურისტებს გიდობას ან ტვირთის წაღებას სთავაზობენ, ასკეტური რიკშები, ოფლში გალვრილებს ძლივს რომ ამყავთ ეგზოტიკის ჩასუქებული მოყვარულნი ტანანარივეს ბორცვებზე. ესენი ძირითადად უმიწო გლეხები არიან, რომლებიც ქალაქში საშოვარზე წამოსულან და ახლა უმუშევრად დადიან.

— დამოუკიდებელი განვითარების რვა წლის მანძილზე არც ისე იოლია 70 წლის კოლონიური დამოკიდებულებით ეკონომიკისათვის მიყენებული ჭრილობების მოშუშება, — განაცხადა საუბარში რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა ალფრედ რაძაუნარიველუმ. მადაგასკარის ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობაა, და ჩვენი მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა აამაღლოს მისი მწარმოებლობა, გაადიდოს სასურსათო კულტურების ფართობები, მოსპოს უმიწობა. დიდ იმედს ვამყარებთ კომუნების სინდიკატების ე. ი. კოოპერატივების შექმნაზე. როდესაც სოფლის საკითხს გადავჭრით, მაშინ უფრო იოლი იქნება დედაქალაქის პრობლემების გადაჭრაც.

და მაინც სიძნელეების, სილატაკისა და უმუშევრობის მიუხედავად ტანანარივეს მკვიდრნი გულს არ იტეხენ. ისინი თავაზიანი და მხიარულნი არიან. ეს იმიტომ, რომ მათ სჯერათ: „ხვალინდელი დღე ყოველთვის უკეთესია გუშინდელზე", როგორც ამას მალგაშური ანდაზა ამბობს.

• • •





სურათებზე: (მარჯვნივ) — ტანანარივეს ქუჩებში ყოველთვის ხმაური და გამოცოცხლებაა; (მარცხნივ) — პალმის ბოჭკოსაგან დაწნული გიგანტური კალათები, თეფშები, ქუდები ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# იმ ქარცეცხლიან დღეთა გახსენება

# კოცონი ტბაზე

ენით აუწერელი იყო ლისის ტბის მიდამოებში მოსულ პატარათა სიხარული: ახლად გაფოთლილ ტყეში, მობიბინე მინდვრებში სურნელოვან ყვავილებს კრეფდნენ, ლაღობდნენ, თაიგულებით ამკობდნენ ადამიანებს, რომლებმაც სამამულო ომის მრისხანე წლებში ბრძოლისა და გამარჯვების უკვდავი ფურცლები დაწერეს.

ვის არ ნახავდით აქ — პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში. ჩვენი სიცოცხლის ყვავილებს — გოგონებსა და ბიჭუნებს გულში იკრავდნენ სახელოვანი ქართველი ვაჟკაცები.

პატარები გაფაციცებით ისმენდნენ ადამიან-ზღაპრის ამბავს. ის კი ახლა მათ წინაშე იდგა და დამსახურებული სიხარულის ცრემლს იწმენდდა.

როცა პარტიზანმა ნ. იაშვილმა დასავლეთ უკრაინის თოვლით დაფარულ რკინიგზის სადგურში მისვლა დააპირა, გერმანელებმა ავტომატით დაჭრეს იგი. დაეცა, სისხლით შეღება თოვლი, მაგრამ სამშობლოს დავალება მაინც შეასრულა — ხოხვით მიაღწია საგუშაგომდე, მტრის ორი ჯარისკაცი განგმირა და ნაღმი ღრმად ჩაფლო შენობის კედლის ძირში. რამდენიმე წუთის შემდეგ შემზარავი ქუხილი გაისმა, ნაღმებისა და ტყვია-წამლის საწყობი, სამი ეშელონი მატარებელი, ამოგლეჯილ ხეებთან ერთად ჰაერში აიტყორცნა.

დასავლეთ უკრაინის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის მიდამოებში შემოსეულ მტერს მუსრს ავლებდა პარტიზანული შენაერთის დაზვერვის უფროსი ვ. ძნელაძე. ახლა ისიც ტკბებოდა თბილისელი ნორჩების სიყვარულით. განიერ მკერდზე მოჩანდა წარწერა: ქართველი პარტიზანი.

მარია სარაევა, რომელიც ბელორუსიის გაუვალ ტყეებში იბრძოდა, ხალისით იგონებდა მტერზე გამარჯვების დაუვიწყარ დღეებს.

ლისის ტბის მიდამოებში, პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ჩვენ ვნახეთ ყირიმის პარტიზანთა რაიონის უშიშარი კომისარი მ. ბუსკაძე.

არა ერთი და ორი ბარათი მიიღო აკ. ღოღობერიძემ მოძმე ბელორუსიის მკვიდრთაგან. ისინი ტკბილად იხსენიებენ ქართველ ყოფილ პარტიზანს, რომელმაც ათობით საბჭოთა ოჯახი იხსნა გერმანელ დამპყრობთაგან, მრავალი ფაშისტი დაასამარა.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ყოფილ პარტიზანთა განყოფილების საბჭოს ტრადიციულ პარტიზანულ კოცონზე, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების ოცდამეხამე წლისთავს მიეძღვნა, მოვიდნენ სამამულო ომის ვეტერანები, სახელოვანი პარტიზანები დ. მაღალაშვილი, ამჟამად პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი; დ. იოსელიანი — დღეს დოცენტი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე; ექიმი ლ. ჩხაიძე.

მთავრობის მრავალი ჯილდო ამშვენებს ყოფილ პარტიზანებს ა. ჩხაიძეს, გ. სოფრომაძეს, კ. ბუნერიძეს, მ. მჭედლიშვილს, მ. სხირტლაძეს, ი. ახობაძეს, ზ. კობერიძეს, ნ. გომართელს, ს. პეტროსიანს, ა. მორჩილაძეს, ი. სტაცენკოს, ა. დიდიშვილს, ხ. სუხიშვილს, ა. კირვალიძეს, ტ. სერებრიაკოვას, ა. ოვსესიანს, ე. ართმელიძეს...

მეგობრებმა უდიდესი გულისტკივილით მოიგონეს კაცი-ლეგენდა, დაუდგრომელი მზვერავი პარტიზანი თომა ალლაძე, ისინი, ვინც საყვარელ სამშობლოს თავი შესწირა, ვინც ადამიანებს ბედნიერება, სიხარული დაუმკვიდრა.

ლისის ტბის პირას პარტიზანთა ტრადიციული კოცონი აგიზგიზდა.

ყოფილ პარტიზანთა შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მისასალმებელი სიტყვით გახსნა ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. მეგრელიშვილმა.

დამსწრეთ პატრიოტული სიტყვით მიმართა სახელმოხვეჭილმა ყოფილმა პარტიზანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. გაჩეჩილაძემ სამამულო ომის ცოცხალ მემატიანეებს — პარტიზანებს გააცნო ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის თავდადებულ მებრძოლთა სახელები, შრომისა და ბრძოლის მოწინავე ადამიანები.

თბილისის ახალგაზრდობის სახელით ყოფილ პარტიზანებს გულთბილად მიესალმა კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი შ. გოჩალეიშვილი. ამ შესანიშნავ ტრადიციულ ზეიმს დაესწრნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. მეტრეველი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი შ. ყარყარაშვილი.

პიონერებმა ყოფილ პარტიზანებს ყვავილები მიართვეს.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად ყოფილ პარტიზანთა დელეგაციამ ვ. ი. ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკო.

ყოფილი პარტიზანები 26 კომისრის რაიონში მივიდნენ დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაოზე. იგი ყვავილთა თაიგულებით შეამკეს. აქ პიონერები მღელვარებით ისმენდნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანის ვ. გოლოუტკინის საბრძოლო ეპიზოდებს. მოწიწებით მოიხსენიეს მამაცი ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საყვარელი სამშობლოს დიდებას.

გმირები არ კვდებიან. ხალხი სათუთად ინახავს მათს სახელებს, — განაცხადა ქარხანა „მიკროძრავის" მუშამ ჯ. პეტრიაშვილმა. აქვე სიტყვა წარმოთქვა კომკავშირის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა გ. შუგაროვმა.

ყოფილმა პარტიზანებმა პატივი სცეს დაღუპულ გმირ მეომართა ხსოვნას კუკიის სასაფლაოზეც. შემდეგ დედაქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ და გმირთა დიდების მომავალ ძეგლთან ყვავილთა ბორცვი გაჩნდა.

პარტიზანთა პარკში — პარტიზანთა დიდების მონუმენტს აშენებენ. მისი საფუძველი ცოცხალი ყვავილებით შეამკეს.

გვიან ღამემდე გაგრძელდა ლისის ტბის მიდამოებში თბილისის მშრომელთა საერთო-სახალხო ზეიმი.

პარტიზანული კოცონი ახალ გამარჯვებათა, წინსვლის სიმბოლოდ გადაიქცა.

უკვდავია გმირთა სახელი!

**აკ. გოცირიძე.**

• • •

**სურათებზე:** მარცხნიდან — პარტიზანული კოცონი ლისის ტბაზე; პიონერები თაიგულებს მიართმევენ ყოფილ პარტიზანებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.





# ბარის ალპინიზმი

„ბარის ალპინიზმი" — ასე უწოდებენ ზოგჯერ კლდეზე ცოცვას, რომელსაც ჩვენში სხვა სახეობებთან შედარებით ნაკლები ისტორია აქვს, მაგრამ უკვე მოპოვებულია არა ერთი შესანიშნავი მიღწევა. ეს არის ჭეშმარიტად მამაცთა სპორტი, რომელიც გამოირჩევა სირთულით.

ამ სახეობაში ჩვენს რესპუბლიკას არაერთხელ უსახელებია თავი საკავშირო ასპარეზობაზე. კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატი მ. ხერგიანი სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონია. მას ჰყავს არაერთი ნიჭიერი მოწაფე და მიმბაძველი.

საქალაქო ჩემპიონატის წინ, რომელიც დღეს იწყება ლელვთახევში (ბოტანიკური ბაღი), ჩვენმა კლდეზე მცოცავებმა გამარჯვების დღეს, 9 მაისს, მეტეხის ციხის კლდეებზე მოაწყეს საჩვენებელი გამოსვლები, რომლებმაც თბილისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

• • •

**სურათზე:** შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტის ამბები

### დამარცხებას გადაურჩნენ

„არარატი" (ერევანი) — „დინამო" (თბილისი) 0:0. ერევანი. 9 მაისი. რესპუბლიკური სტადიონი. მსაჯი — ს. ალიმოვი (მოსკოვი).

„არარატი" — დემირჩიანი, მესროპიანი, ფ. აბრამიანი, აირაპეტოვი, ოვსეპიანი, ავანესოვი (ბონდარენკო), ეგიაზარიანი, კაზანჯიანი, მელკუმოვი, ზანაზანიანი, კაზარიანი (აკოფოვი);

„დინამო" — კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა (კუტივაძე). პეტრიაშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია (ქიქავა), გავაშელი.

ამ მატჩს ვერ მივაკუთვნებთ უმაღლესი დონის ასპარეზობათა რიცხვს. თამაში ულიმღამო და ნაკლებადსაინტერესო იყო. თუ ვიმსჯელებთ შესაძლებლობათა მიხედვით, მასპინძლებს ბურთის გატანის გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დინამოელები დამარცხებას გადაურჩნენ.

აი რამდენიმე მომენტი. 22-ე წუთზე კოტრიკაძეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მას მიუსწრო მელკუმოვმა, მაგრამ ღია კარს ააცილა. 10 წუთის შემდეგ ეგიაზარიანის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. მასპინძლებს კიდევ ორჯერ ჰქონდათ ასეთი შესაძლებლობა.

საბოლოოდ ფრე — 0:0.

### მეოთხედფინალურები

**ამსტერდამში** დაიწყო მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ვ. კორჩნოისა და ს. რეშევსკის შორის. პირველ პარტიაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ, მეორეში კი გაიმარჯვა ვ. კორჩნოიმ.

ბ. ლარსენისა და ლ. პორტიშის მატჩის ანგარიშია 2,5:0,5 ბ. ლარსენის სასარგებლოდ.

◆

### მხოლოდ რევანში...

მიიწურა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური შეხვედრები ფეხბურთში. გასამართავი დარჩა მხოლოდ ერთი შეხვედრა სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც დღეს მოეწყობა მოსკოვში.

9 მაისს უნგრელი ფეხბურთელები მოსკოვში ჩამოვიდნენ. ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და არ მალავენ, რომ ნახევარფინალში გასვლა ფაქტიურად უზრუნველყოფილი აქვთ.

როგორც მწვრთნელმა შოოშმა განაცხადა, მოსკოველები მოედანზე იხილავენ ევროპაში უძლიერეს ფეხბურთელად აღიარებულ ალბერტს.

### კუთხაიდერთა შეხვედრა

„ტორპედო" (ქუთაისი) — სკა (დონის როსტოვი) 1:0 (0:0). ქუთაისი. 9 მაისი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ჰ. სტრენცისი (რიგა).

„ტორპედო" — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა (ჭითანავა), ერქომაიშვილი, ჭოლაძე, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე (ასიტაშვილი);

სკა — ბოიჩენკო, კორნეევი, გეტმანოვი, რომანოვი, კრივობოროდოვი, კაბაჩოკი, პოლშჩიკოვი (ანტონოვი), ბორდოვსკიხი, კოპაევი, ესკოვი, მატვეევი.

ზედიზედ დამარცხებების შედეგად ქუთაისის „ტორპედოსა" და დონის როსტოვის სკა-ს სატურნირო მდგომარეობა მეტად არასახარბიელო აღმოჩნდა. ამიტომ მათს შეხვედრას ორივე გუნდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამ მატჩზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ დააღწევდა თავს აუტსაიდერობას.

თამაში მდორე, ნაკლებად საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0. მეორე ნახევრის 35-ე წუთზე როსტოველთა კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტი კარგად გამოიყენა ვეკუამ და ანგარიში გახსნა.

ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ მატჩში. გაიმარჯვეს ქუთაისელებმა და თავი დააღწიეს აუტსაიდერობას.

### დღეს პირველი ტური

**გუშინ** თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა მეხუთე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მონაწილეობს 16 მოჭადრაკე.

წილისყრის შედეგად მეტოქეებმა ასეთი ნომერაცია მიიღეს: 1. **ხუბულური,** 2. **კობაიძე,** 3. **ვრეკენი** (პოლანდია), 4. **ნინშერტი** (გდრ), 5. **სანაძე,** 6. **ზატულოვსკაია,** 7. **ერეტოვა** (ჩეხოსლოვაკია), 8. **კაკაბაძე,** 9. **ვერეცი** (უნგრეთი), 10. **კახაბრიშვილი,** 11. **რადიკოვსკა** (პოლონეთი), 12. **ხუგაშვილი,** 13. **სკეგინა,** 14. **ჩაიკოვსკაია,** 15. **ალექსანდრია,** 16. **პოლიხრონიადი** (რუმინეთი).

### მატჩები, გოლები, ავტორები

**9 და 10 მაისს** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

**სსრ კავშირის** ჩემპიონი კიევის „დინამო" საკუთარ მოედანზე შეხვდა ოდესის „ჩერნომორეცს". ანგარიში მეორე ნახევრის დასაწყისში კიეველმა **პუზაჩმა** გახსნა, 53-ე წუთზე კი **ხმელნიცკიმ** მეორეჯერ აიღო „ჩერნომორეცის" კარი — 2:0. ოდესელებმა საპასუხო ბურთი 78-ე წუთზე გაიტანეს. გოლის ავტორი იყო **სეკეჩი.** თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე კი კიეველმა **კრულიკოვსკიმ** საკუთარ კარში გაიტანა ბურთი და მატჩი ფრედ 2:2 დამთავრდა.

**ლენინგრადის** „ზენიტი" მინსკს ეწვია და აქ პაექრობა ჰქონდა ადგილობრივ „დინამოსთან", წარმატება მინსკელებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

**მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „დინამოს" გუნდები. გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1. გოლების ავტორები იყვნენ **კოზლოვი** („დინამო"), **პონომარიოვი** და **შულიტიცკი** (ცსკა).

**წარმატებით** იბრძვის ლუგანსკის „ზარია". ლუგანსკელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს დონეცკის „შახტიორი" 3:1.

**გუშინ** მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ ადგილობრივ გუნდებს — „ლოკომოტივსა" და „სპარტაკს". შეხვედრის შედეგია 2:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

### გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 11 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 7 | 4 | 3 | 0 | 11-5 | 11 |
| „დინამო" (კ.) | 8 | 3 | 5 | 0 | 9-4 | 11 |
| „ნეფტჩი" | 7 | 4 | 1 | 2 | 8-2 | 9 |
| „ლოკომოტივი" | 7 | 4 | 1 | 2 | 11-7 | 9 |
| ცსკა | 7 | 2 | 5 | 0 | 7-4 | 9 |
| „ტორპედო" (მ.) | 8 | 3 | 3 | 2 | 9-6 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი" | 7 | 3 | 3 | 1 | 5-3 | 9 |
| „ზარია" | 8 | 3 | 3 | 2 | 6-7 | 9 |
| „დინამო" (მნ.) | 7 | 3 | 2 | 2 | 6-3 | 8 |
| „დინამო" (თბ.) | 7 | 3 | 2 | 2 | 5-3 | 8 |
| „ზენიტი" | 7 | 1 | 5 | 1 | 7-6 | 7 |
| „დინამო" (მ.) | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 7 |
| „შახტიორი" | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 7 |
| „ჩერნომორეცი" | 7 | 1 | 4 | 2 | 8-10 | 6 |
| „კაირატი" | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 5 |
| „არარატი" | 7 | 1 | 3 | 3 | 5-7 | 5 |
| „ტორპედო" (ქ.) | 8 | 2 | 1 | 5 | 8-14 | 5 |
| „პახტაკორი" | 8 | 0 | 5 | 3 | 6-13 | 5 |
| „დინამო" (კირ.) | 7 | 1 | 2 | 4 | 2-8 | 4 |
| სკა | 7 | 0 | 3 | 4 | 7-14 | 3 |

### სპორტული ქრონიკა

● **მსოფლიოს** ჩემპიონი — ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გავიდა ევროპის პირველობის ნახევარფინალში. ინგლისელებმა მეორეჯერ, ამჯერად მადრიდში დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები 2:1. ამრიგად, ევროპის ჩემპიონატის სამი ნახევარფინალისტი ცნობილია. ესენი არიან — იტალიის, ინგლისისა და იუგოსლავიის გუნდები.

● **ევროპის** ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ იტალიის „მილანი" და დასავლეთ გერმანიის გუნდი „ჰამბურგი". იტალიელებმა მეორე მატჩი მიუნჰენში ფრედ 0:0 დაამთავრა „ბავარიასთან". ფინალი შედგება 23 მაისს როტერდამში.

● **საქართველოს** საჭადრაკო ჩემპიონატზე 13 ტურის შემდეგ ლიდერია თ. ლომაია, რომელსაც 11 ქულა აქვს. ზ. მიქაძეს 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ბ. გურგენიძეს — 9,5 ქულა.

### შემთხვევა გზაზე

## არაგვთან მებრძოლნი

**დღის** დაახლოებით თორმეტ საათზე, დუშეთის რაიმილიციას სოფელ ანანურიდან ტელეფონით აცნობეს, რომ სოფელ პავლეურის მახლობლად მდინარე არაგვში გაიჭირა ავტობუსი, რომელშიც არიან ბავშვები და ქალები, რომ მგზავრებს აშკარა საფრთხე ელით... ხუთიოდე წუთში შემთხვევის ადგილას გაემგზავრნენ რაიაღმასკომის თავმჯდომარე შ. მწითური, რაიპროკურორი მ. მამუჩაშვილი და რაიმილიციის უფროსის მოადგილე მ. ჩოხელი.

მდგომარეობა მართლაც ძალიან საშიში იყო. ავტობუსი გრმ 01-12, რომელსაც ავტომძღოლი გ. სალირაშვილი მართავდა, შუა მდინარეში გაჩერებულიყო და თანდათან უფრო ღრმად იძირებოდა. მანქანა წყლით იყო სავსე, მგზავრები მანქანის სახურავზე იდგნენ.

მაშველად მოსულმა ადამიანებმა იმ წამსვე მოებიდან იხმეს კოლმეურნეები. არაგვის ორივე მხარეს თავი მოიყარეს პავლეურელმა და ანანურელმა კოლმეურნეებმა, მდინარის ტალღებში გადაეშვნენ ახალგაზრდა მთიელები სულიკო ფოცხვერაშვილი, თენგიზ მამუკელაშვილი და არაგვისპირელი ვალიკო კაჭკაჭური, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლის რისკით, ტალღებს გამოსტაცეს ჯერ ბავშვები და მერე მოზრდილები.

**ა. თომაძე,**

# თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

## აცხადებს მიღებას 1968-1969 სასწავლო წლისათვის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების შემდეგ სპეციალობებზე

**საღამოს სწავლების ფაკულტეტზე:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორები), 4 ფიზიკა (რუსული სექტორი), 5. ბიოლოგია (რუსული სექტორი), 6. გეოგრაფია (ქართული სექტორი), 7. ისტორია (ქართული სექტორი), 8. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), 9. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები).

**დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. ბიოლოგია (ქართული სექტორი), 4. ისტორია (ქართული და რუსული სექტორები), 5. ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), 6. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები).

**საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი, არჩეული სპეციალობის შესაბამისად, მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:**

**ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე** — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი),* სსრკ ისტორიაში (წერა),* ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი)*.

**რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე** — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორიაში (წერა),* ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი)*.

**ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობებზე** — იმ ენასა (რომელზეც წარმოებს სწავლება) და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორიაში (წერა)*, ერთ-ერთ უცხო ენაში (ზეპირი).

**გეოგრაფიის სპეციალობაზე** — მათემატიკაში (წერა)*, სსრკ ისტორიაში (წერა)*, გეოგრაფიაში (ზეპირი)*, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**ფიზიკის, მათემატიკის სპეციალობებზე** — მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*, ფიზიკაში (წერა)*, იმ ენასა (რომელზეც წარმოებს სწავლება) და ლიტერატურაში (წერა).

**ბიოლოგიის სპეციალობაზე** — ბიოლოგიაში (ზეპირი)*, ქიმიაში (წერა)*, ფიზიკაში (წერა)*, იმ ენასა (რომელზეც წარმოებს სწავლება) და ლიტერატურაში (წერა).

**დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე** — იმ ენასა (რომელზეც წარმოებს სწავლება) და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორიაში (წერა)*, მათემატიკაში (წერა)*.

ვარსკვლავებით აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

**შენიშვნა:** ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში:

ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობებზე აბარებენ გამოცდას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი).

გეოგრაფიის სპეციალობაზე — გეოგრაფიაში (ზეპირი),

მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა და ზეპირი),

ფიზიკის სპეციალობაზე — ფიზიკაში (წერა),

ბიოლოგიის სპეციალობაზე — ფიზიკაში (წერა),

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — მათემატიკაში (წერა).

**მაპროფილებელ საგანში როგორც წერაში, ისე ზეპირში გამოცდის „ხუთზე" ჩაბარებისას მედალოსნები და წარჩინებით დიპლომზე საშუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრებულები თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდების ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის"** ან „სამის" მიღების შემთხვევაში, აგრძელებენ გამოცდების ჩაბარებას სხვა საგნებში.

**კონკურსგარეშე** ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ ერთწლიანი პედაგოგიური კლასები ან პედაგოგიური სასწავლებლები და სახალხო განათლების ორგანოების მიერ წარგზავნილნი არიან დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის პედაგოგიურ სპეციალობებზე; აგრეთვე ის პირნი, რომლებიც მუშაობენ პროფილის მიხედვით (მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, პიონერხელმძღვანელი) და წარმოადგენენ სათანადო რეკომენდაციებს შესაბამისად რაიონის განათლებისა, კულტურის განყოფილებებიდან და კომკავშირის რაიონული კომიტეტიდან.

**განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემომსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:**

1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი). საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ, 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაცემული უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტორგანიზაციის ან კომკავშირული ორგანიზაციის მდივნისა და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, ხოლო კოლმეურნეობის წევრებისათვის — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4 სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. ხუთი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ (გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული ბეჭდით), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს მოზრდილთათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი კოლმეურნეობაში მუშაობის ყოველი კალენდარული წლისათვის ცალ-ცალკე. 7. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს შემსვლელები წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება თბილისსა და მის ახლომდებარე რაიონებში მცხოვრებ პირთაგან.

დაუსწრებელ ფაკულტეტზე შემსვლელებს განცხადება შეაქვთ მათ საცხოვრებელ ადგილთან უახლოეს უმაღლეს სასწავლებელში, სადაც არის მათთვის არჩეული სპეციალობა.

**განცხადებები მიიღება 31/V-მდე.**

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1/VI—25/VI.

**დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება** მიმღები კომისიის სამდივნოში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 32. ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი).

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**11 მაისი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.15 — ბავშვებისათვის — „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში (გაგრძელება), 12.30 — „მელოდიიდან მელოდიამდე" — სასტრადო კონცერტი, 13.00 — თქვენთვის, ქალებო (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. კონცერტი, 2. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.50 — „მხიარული ეკრანი", 19.00 — ქართული მხატვრული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", 20.30 — ევროპის პირველობა ფეხბურთში — საბჭოთა კავშირი-უნგრეთი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „კინოაფიშა".

**12 მაისი**

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 12.00 — პოლონური მხატვრული ფილმი „სად არის მესამე მეფე", 17.45 — გადაცემათა პროგრამა, 17.50 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — კინონარკვევი, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 2. „თქვენზე ფიქრებში", 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა „ერთი რაიონის მრეწველობა". ლაგოდეხის რაიონი, 20.00 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.30 — ქართველ კომპოზიტორთა ყრილობაზე, 21.10 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიოს ხელოვნების საგანძური", 21.55 — პოლონური მხატვრული ფილმი „სად არის მესამე მეფე".

### თეატრები

**11 მაისი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ამბავი ტარიელისა (მე-11 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ჩვენ, მისი უდიდებულესობა, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ძია ბალდასარი, **გრიბოედოვის სახელობის** — ნაცრისფერი ქუდი (მე-5 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — შვეიკი მიდის ფრონტზე (პრემიერა), **რუსთავის სახელმწიფო დრამატული** — მე მჯერა შენი (აბონ. № 20, მე-4 წარმოდგენა), **თოჯინების ქართული** — გულადი ღილეელა. (12 ს.),

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

**ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55 01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28 54, განცხადებების — 93-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03233 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.